№ 21 თბილისი ნოემბერი 1963

4/1963

ცისკარი

გამოცემის 41-ე წელი. ფასი 20 კაპ

მუშიდობის დროშა ფრიალებს,
წითელ დროშების მთებია,
ჩვენი სამშობლოს სალხები
დიად ოქტომბერს ხვდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამბა ჩხოლაურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძილობა ჯანმრთელობის დაუძინებელი მტერია, მაგრამ ძილი ულოგინოდ არ შეიძლება, ლოგინი კი — უბამბოდ. მართლაც და, ბამბა რომ არ ყოფილიყო, ადამიანს შემოსვაც გაუჭირდებოდა და ბალახბულახში მოუწევდა ძილი.

მატყლი? ჯერ ერთი, ცხვარი რამდენჯერაც იწველება, იმდენჯერ რომ იკრიჭებოდეს, მაინც ვერ გაწვდებოდა კაცობრიობას სიგრძე-სიგანეში და, მეორეც, მატყლი, ცოტა არ იყოს, იმდენად ძვირია ბამბასთან შედარებით, რომ მატყლში გადახდილი ფულის დარდი ზოგერთს აღარც დააძინებდა.

ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა გეტყვით, რომ ბამბისაგან კეთდება ნართი თუ ქსოვილი, სუფრა თუ ხალიჩა, ფარდა თუ ფეხსაცმელი, მაგრამ გუდაუთისა და ცხაკაიას ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ბამბის საპენტი და ლეიბ-საბნების სამკერვალო საამქროების მუშაკებს რომ ჰკითხოთ, ბამბისაგან რას აკეთებთო, გიპასუხებენ — ფულსო.

მაინც, მაინც, როგორ? — იკითხავთ თქვენ, მაგრამ ამ კითხვაზე ნამდვილად წაგიყრუებენ, წაგიყრუებენ, მაგრამ უბრალო თვალის გადავლებითაც მიხვდებით, სად მარხია ძაღლის თავი:

„ქვიშა ბამბის ალაგს ვერ დაიჭირებს, თუ გინდ ყუთნის საბანშიაც ჩაიწყოს!“
საიათნოვა

ბამბა ბოჭკოთა სიგრძით ფასდება. რაც უფრო გრძელია ელემენტარული ბოჭკოები, მით უფრო მაღალხარისხოვანი ნართი მზადდება მისგან და პირიქით. არის ისეთი ბოჭკოებიც, რომლისგანაც ძალზე დაბალი ნომრის ნართი მიღება, ანდა საერთოდ შეუძლებელია მისგან ნართის მიღება. ასეთ ბოჭკოიანი ბამბის სართავი მანქანების ნავარცხნთან შერევით სათანადო რეცეპტურის მიხედვით მიიღება ბამბა, რომელიც გამოიყენება ლეიბისათვის, საბნისათვის, ავეჯისათვის და სხვ.

მათემატიკოსების ენით ბამბის საპენტ წარმოებაში რეცეპტურის დაცვა ფულის კეთების უკუპროპორციულია. მართლაც და დაიცავ რეცეპტურას, იქნება ბამბის ნორმალური დანაკარგები, ბამბის დანაკარგები კი უდრის ფულის დანაკარგებს.

როგორც ეტყობა, ცხაკაიასა და გუდაუთის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ბამბის წარმოების მუშაკებს ბამბის დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმი მკაცრი რეჟიმის ქვეშ, მაუდის ქვეშ აქვთ ამოდებული, ანდა სულაც არა აქვთ, ანდა, თუ აქვთ, არ კითხულობენ, ანდა, თუ კითხულობენ, არ იცავენ.

აღნიშნული წარმოებების მუშაკებს მათემატიკის ზემოხსენებული ელემენტარული კანონი სრული სიზუსტით გამოუყენებიათ და ბამბის დანაკარგები დასაკარგავად ვერ გაუმეტებიათ, ლეიბებში ჩაუყრიათ და ფულად უქცევიათ არა წარმოების სასარგებლოდ, არამედ თავიანთთვის, მუთაქებში შესანახავად.

უდავოა, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით შექმნილ მარცხენა უხარისხო ლეიბ-საბნებისა და ბამბის რეალიზაციის საქმეში სავაჭრო ორგანიზაციებს მარჯვენა ხელი გაუწოდებიათ მომხმარებელთა კოლექტიურად მოსატყუებლად. კარგად, მართლაც კარგად სცოდნიათ მათემატიკა, მაგრამ ცუდად, ძალზე ცუდად სცოდნიათ საბჭოთა იურისპრუდენციის საყოველთაოდ ცნობილი კანონი, რომ მათი ნამოქმედარი სისხლის სამართლის დანაშაულია.

აღნიშნული წარმოებები ძირითადად სამი სახის ბამბის გამოშვებისათვის არიან მოწოდებულნი. ესენია, არტიკული 1,2 და 5. ერთი კილოგრამი ბამბის ფასი შესაბამისად განისაზღვრება 1 მან. და 25 კაპ., 1 მ. 06 კაპ. და 72 კაპიკით. თუმცა, მათ მიერ გამოშვებული სამივე სახის ბამბის ფასი ფაქტიურად კაპიკია, რადგან ლეიბში ბამბის ისეთი ნარჩენებია ჩაყრილი, რომ ხელის მოკიდება შეგეზიზღება. ვინც მასზე იძინებს, ალბათ, საპნის ყიდვას ვერ ასდის, ვინაიდან ლეიბებზე გადაფარებული ზეწრები და თეთრეული ყოველ დილით ჭუჭყისაგან იქნება გაშავებული.

ზემოთ ხსენებული წარმოებები საოჯახო ბამბას ათეული ტონობით ამუშავებენ, მაგრამ საოჯახოდ არც ერთი არ ვარგა, ვინაიდან დანაკარგები თვით ბამბაშია მითვლილი, რომლის ანგარიშზეც კეთდება ფული.

ვინც თითებზე თვლა იცის, მოდგეს და ითვალოს რამდენი ბამბა „გადაამუშავეს“ ცხაკაიასა და გუდაუთის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ბამბის წარმოებებმა და რამდენი მანეთი ააჩხრიალეს დანაკარგების ხარჯზე.

მოდი და ნუ დაიჯერებ ამის შემდეგ, რომ ბამბაც ჩხრიალებს, როგორც კაკალი.

ცხაკაიასა და გუდაუთის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმოთა ხელმძღვანელები იქნებ ფიქრობენ, რომ ყველას მათი საწარმოს მიერ გამოშვებული ბამბა აქვს ყურებში და არაფერი ესმის.

ბამბინო საბანაძე

მგზავრობა თბილისი—ქუთაისის მაგარებლით

ნახ. მ. აბაშიძისა

— მაშ წამიყვანთ უბილეთოდ?
—ფული იყოს და წაგიყვან კი არა, წაგაბრძანებ!

ნახ. გ. ფირცხალავანი



— აი მამი, ვერ იცანი? თებრონიანთ ვიოლეტა ჩამოსულა!
— აბა რას ვიცნობ, შვილო, ცალი თვალი ძლივს უჩანს!

ოქროს ყაიდაზე

ფეხსაცმელი ისევე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ადამიანისათვის, როგორც ტანსაცმელი. უფრო მეტიც. ფეხსაცმელი ტანსაცმლის მშვენებაა და ორივე ერთნაირად ამშვენებენ ადამიანს.

ამიტომაა, რომ კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, როცა ახალ ტანსაცმელს იძენს, შესაფერის ფეხსაცმელსაც მაშინვე ეძებს.

ეძებს ლამაზი შესახედაობის გამძლე ფეხსაცმელს და დიდი ძიების შედეგად შოულობს მას. შოულობს და უხარია.

ადამიანის ეს ბუნება საქვეყნოდაა ცნობილი. უცნობია მხოლოდ ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკის ხელმძღვანელებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის, ოსტატებისა და ჭუშებისათვის. დიახ, მათ ერთნაირად მიუძღვით ბრალი. უხარისხო პროდუქციის გამოშვებაში, წუნისკეთებაში. ეს რომ ასეა, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ყველა დამეთანხმება, დამეთანხმებიან თვით ქუთაისელი მეფეხსაცმელეებიც.

ფეხსაცმელი ფეხსაცმელს მიტომ ქვია, რომ ფეხზე ჩასაცმელად უნდა ვარგოდეს და ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ნაწარმივით ხელით სატარებელი არ უნდა იყოს. თუმცა ცხაკაიას № 16 მაღაზიაში რომ სპორტული ჩუსტები იყიდება 4 მანეთად და 40 კაპიკად, მათი ხელის ხლებაც კი საშიშია, რათა უშნო და უხეშ ზედაპირზე უშნოდ და ულამაზოდ მიწებებული თუ მიკერებული ძირი ხელშივე არ შეგრჩეს. აბა, რაღა სპორტული ფეხსაცმელია, თუ ჩაცმამდე დაირღვევა, მაგრამ ეს არ უკვირს მე-16 მაღაზიის გამგეს ვაჟა ჯალაღანიას, რადგან ქუთათურ ფეხსაცმელივით ირღვევა აქ ვაჭრობის წესები. აგერ, გამგის პოზით რომ ტრიალებს დახლთან ეს ვაჟკაცი იური ცომაიაა. ის არც არავის მიუღია სამუშაოზე და არც სათანადო ბრძანებით გაუფორმებიათ. ოფიციალური დოკუმენტებით მაღაზიასთან საერთო არაფერი აქვს და თუ გამგეს „ეხმარება“ საქონლის ქებაში და სპორტული ვირტუოზობით და წარმატებით ასაღებს ამ არასტანდარტულ და არასპორტულ საქონელს, უნდა ვიფიქროთ, ეს უსასყიდლოდ არ ხდება. იქნებ „ავიწყდებათ“, რომ პროდუქციის ხარისხზე პასუხს, გამომშვებ ორგანიზაციებთან ერთად, გამსაღებლებიც აგებენ.

ბევრგან შეხვდებით ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკის უხარისხო ნაწარმს და მათ შორის ზუგდიდშიაც, საქართველოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მუშათა მომარაგების განყოფილების საწყობში. ნახავთ და გაიოცებთ:

— ეს რა არის?!

— ფეხსაცმელია, ქუთაისის ფაბრიკის მიერ გამოშვებული.

ეჭვის მიტანა შეუძლებელია, ნამდვილად ძალიან წააგავს ფეხსაცმელს. ამიტომ თქვენც უჯერებთ საწყობის გამგე შ. ელაშვილს. ფეხსაცმელები მაგიდაზე აწყვია, თუმცა უფრო ზუსტად რომ გამოვთქვათ, ქუსლები მაგიდაზე აწყვია, ხოლო ცხვირები ჰაერში აქვთ აწეული. ცხვირაწეული ადამიანი გვინახავს, მაგრამ ფეხსაცმელი კი არა. ვცადეთ გასწორება, მაგრამ როცა ცხვირები მაგიდაზე დაეწყო, ქუსლები ჰაერში დარჩა. ორიგინალური კონსტრუქციის ფეხსაცმელია, ერთდროულად ქუსლებისა და ტერფის მიწაზე დადება შეუძლებელია, ან ქუსლებით უნდა იარო, ან ფეხის წვერებით. ერთ-ერთი გადარჩება გაცვეთას.

— რატომ მიიღეთ ასეთი ფეხსაცმელი?

— ჩვენი ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ამ სახის ფეხსაცმლის გამოგზავნა, მაგრამ რატომღაც მაინც გამოგვიგზავნეს. ჩვენ აქტი შევადგინეთ უხარისხობაზე და შევატყობინეთ, რომ უარს ვამბობთ მიღებაზე. ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი დეპეშას აგზავნის და დაჟინებით მოითხოვს ფეხსაცმლის უსიტყვოდ მიღებას და ფულის გადახდას. რა ჰქნან საწყალმა ფეხსაცმელებმა, არც მათი გამომშვები ღებულობს უკან და არც სავაჭრო ორგანიზაციას სურს მახინჯების მიღება და ასე არიან ორ წყალშუა.

საჭადრაკო ფურნირი

„ხაკუონჯწიწტრესტში“ ძლიერ უყვართ ჭადრაკის თამაში. ყოველ წელიწადს იმართება ტურნირი და გამარჯვეულ ყოველთვის ერთ და იმავე მოჭადრაკეს რჩება, როგორც ბოტკინიეს — ბეტროსიანთან შეხვედრამდე.

„ხაკუონჯწიწტრესტის“ ჩემპიონი თეოონ ჯოჯუ მაჯაჯიძე გახლდათ — ტრესტის მმართველი. და აი წელსაც გაიმართა საჭადრაკო ჩემპიონატი.

ტრესტის მმართველი ვეფხვივით მიიწევდა წინ. ყოველი ტურის შემდეგ მისი მიმაბართიდან გაისმოდა თაებროფლმეკვები შეძახილები:

— ყოჩაღ. პატიცეემულო ჯოჯუ!

— თქვენი დიდებული ნიჭის თაყვანისმცემლები ვართ ყველანი!

ჯოჯუ მაჯაჯიძე იმ ადამიანთა რიგს ეკუთვნოდა, რომლებსაც თავბრუ არ ესხმინთ ზედმეტი ქებისა და წარმატებებისაგან.

მოდამ გაპარსული, კოკორულვაშა, ჩაფსკნილ-ჩასუქებული ჯოჯუ ქმაბ-დიდუბას ისე ოფერებდა, როგორც ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამპავს. ხმა ტრომბალეტრ სფლას ეფრაფერი აკეკეზდა.

ოცდაათი მოჭადრაკე ეჯდა საჭადრაკო დაფას და ყველას იმ დაფისაკენ ჰქონდა ბეტლსეული, სადაც მაინ მმართველი ოჯდა ჩაფიქრებული.

— ჰო, რა შესანიშნავი სვლა იყო!

— გადასარეგად თამაშობს!

— პატიცეემულ ჯოჯუსაგან დიდი მოჭადრაკე გამოვიდოდა!

— რაო, გამოვიდოდაო? არ არის თუ!?.

გაიძახოდნენ მოჭადრაკეები და მაყურებლები მმართველის გასაგონად.

სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე ტრესტის მმართველი იყო გამოჯავრებული, მისი ბეგარი ყველასკენ გაბა მარტო მსხვილი ასოებით გამოიჩრეოდა. წინ ინიციალებიც ეჯერთლნენ მეკვლეებივით „ჯ. ჯ. მაჯაჯიძე“ (ე. ი. ჯოჯუ ჭიჭიკოს ძე მაჯაჯიძე).

— პარეული ადგილი!

— ტურიფმაღალური წინსვლა!

გაიძახოდა მიეელი ტრესტი დ. არ წყდებოდა ქება-დიდება ეფალი მმართველისა.

რამდენიმე კვირის ბრძოლისეროდა ტურნირი და აი, ერთ მწვანერი დღეს ვიღაცამ ხმა დაფარა — ჯოჯუ მაჯაჯიძე სხეიგან გადაყავდო.

დღიდან ამ ხმის დარხეფასა, დაიწყო სატურნირო ცხრილში ცვლილება. ბატიცეემული ჯოჯუ ნოლებს ნოლებზე იღებდა, ბარტას ბარტაზე აგებდა. რა დაეგმარა? მას არც კი ეაიეკია რა ხმები გაავრცელეს. ჯოჯუ ბეტრნი და საჭადრაკო მაეიდასთან ერთდროულად იჯდა, მას ყველა ეგებდა. ყველა მოელი ძალით ეთამაშებოდა, ყველა ჯაჭს იერიფდა მასზე, ყველა ანგარიში უსწორებდა.

—მაკისთანა ბედოლალთი მოჭადრაკე ჯერ არ მინახაეს!

— ვინ არის ბოლო ადგილზე? — განგებ კოიხულოსდნენ მაყურებლები.

— ჯერ ჯერობით ჯოჯუ მაჯაჯიძე! — იყო ერთსულოვანი პასუხი.

ტურნირი დამთავრდა.

„ხაკუონჯწიწტრესტის“ მმართველი ბოლო ადგილზე გამოეიდა. ეიღაცამ ხმა დაფარა, რომ პატიცეემული ჯოჯუ ადარ ეაფაყავთო სხვაგან სამუშაოდ, მაგრამ გვიანაღა იყო.

ტურნირი დამთავრდა.

ბასაანიეული

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲠᲘᲡᲐᲛᲝᲠᲘᲐᲜ „ᲣᲨᲐᲕᲘ“

— შე კაცო, მთომბალეა არ იცი?!

— უმალლესი, ბატონო, ვერ ხედავთ, კუბშია აყვანილი?

„ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ...

— ვიდრე ქალაქში გახვალ, — არიგებდა რაიონიდან ჩამოსული ბიძაშვილს — ახალგეიდა სტუდენტს მარინეს მეცამეკურსელი შარლოტა, — აქაური წესების უნდა გაეცნო:

უპირველეს ყოვლისა, დღეიდან შენ ხარ მარჩელა და არა მარინე. ყველა ლექციას ნუ დაესწრები, თორემ არიფად ჩაგთვლიან.

— როგორ?

— მისმინე ახლა და ხმა აღარ გაგიგონო, რასაც გეტყვი, ეს კანონი იქნება შენთვის.

— წიწკეიო, — დაგიძახებენ, ქუჩაში რომ ჩაივლი, შენ გაღიმებული შემობრუნდები და ისევ განაგრძობ გზას.

ცხადია, ყმაწვილებს გაიცინობ. დასაღეეთ საქართველოდან ხარ და თავი არ მოიმჭრა: „ეეხე“, „ეოშო“, „იმე“, „ეიმე“, „ქმანინ“ და სხვა ასეთი სიტყვები არ დაგიდეს იმათთან, თორემ გეჩეკ დაგიძახებენ. შეგიძლია იხმარო: „ტო“, „იუზგარ“, „ვინ ჭამს ბაგახ“, „ბიეი ვიყო“, „ნუ გადამრიე“, „შეეიშლები“, „როგორა ხარ, სიმონ“, „ეევასები“, „ტბე“ და სხვა.

ყვინჩილები კაფეში დაგპატიეებენ: წაეიდეთ, თითო ფინჯანი ყავა ჩავსეაროთო, —გეტყვიან. კონოს და შამპოს მოიტანენ, არამდაარამეკ უარი არ უთხრა.

დღეობებში დაგპატიეებენ. მეორე დღისათვის, ფუღეც რომ არ დაგრჩეს, კარგი საჩუქარი მაინც უნდა წაიღო. იფიქრებენ: პეწეანი შმობლები ქაოლიაო! მალე შეგასწავლიან სიმღერებს: „ვაი, რა ეეცე გამიფრინდი“, „აბსტრაქტულ პირობებში“, „დაგვიძე და ვერ გპოულობ“. ცეკვებს: „ჩარლსტონს“, „ტვისტს“ და „მედისონს“.

ქეიფში პაპიროსზეც ნუ იტყვი უარს. მართალია, შეიძლება ხველაც აგიტყდეს, მაგრამ სწორედ ეგ მოსწონთ მამლაყინწებს.

სასეირნოდ რამდენად აბრანძული გამოხვალ, იმდენად ორიგინალობაში ჩამოგვრიმეგვ. მაგ შენს გრძელ თმებს დღეიდანვე გამოეთხოვივ. ერთი სატყვით, რაც კი უშნოდ მოირთვები, უფრო მეტ კულტურაში ჩაგეთვლება.

საუბარში იყავი თავისუფალი. ხშირად იხმარე სიტყვები: „ეერსი“, „ბუდბაი“, „ზერ გუტ“, „პრივეტ“, „პაკა“, „უფფიდერზეინ“, „თენქიუ“, „ჩაო“.

დღეს, პირველ გაკვეთილად ეს იკმარე, ჩემო მარჩელა და შემდეგ ისე გამოგაწერთოს, სოფელში რომ ჩახვალ, ვეღარც კი გიცნონ!

კ. ᲒᲝᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲫᲯᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲛᲧᲝᲤᲝ

მცხეთის ახალგაზდაფფოში ბეგია მეოლანოს ნახვა ხ

ოდა, ოროკოლიანი ნამცხვარი ხელში ჰარა და ადამიანს მიეკვეოდოდი. ბნელოდა ზეგიდან, მარკვეენა ხელი წინ მეკოდა ყარეული და გზას მიეიკვლევდი. ეფერეფები დაბისხლტა და რომელიღაც ეეგმე ეეგმე ტკაცანი.

— ოხ!... — მოვიგინე ეკეერლეფეფლმა, ნამცხვარი სარაღიეთ მალლა ავეიწიე და ფარფეფეთ ეეიეეეე ეეგმეეგან. ასიოდე მეტრის შეშეეეეეტანან ქვას ფეეი ეეამოეკარ, ცხეეეთ ეეა ეაგხაზე და რომელიღაც ფარფეფეთ კოტეეეთ გადაეეარე.

— ხალხნო, ეა ხარო, მიშველეეეეთ!. — ავეეიიალდი ეიეკის ეზოს კარეეეთან საიდანღაც ძალლის ამეეა პასუხი, ბეეოსოფრანთი ეეიზიანეეეა. მეეეხარეეა და ეეაჯემდა. რა ეეამეეედა, ნაღრძობეა ეეეზმა: ეეეეეაზე ეეეერეეეს ხმაზე ეეამეეეეე

—შეხედე ამ ფრენიებს, ისეთი ძლიერი „ფრთები“ აქვთ, რომ რაიონიდან გადმოფრინდნენ!

ᲚᲘᲢᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲚ

ეს ერთი ხანია, რაც მიხო ქალაქში ჩამოდის, შედეგი კი არა ჩანს.

მართალია, უარს არ ეუბნება დირექტორი, მაგრამ არც აკმაყოფილებს. ჰოდა, დადის წინ და უკან მიხო. ბოლო არ უჩანს სიარულს.

აი, ახლაც, ზის მიხო მოსაცდელ ოთახში. შედიან და გამოდიან, გამოდიან და შედიან დირექტორის კაბინეტში. კაბინეტიდან კი უცნაური ხმები ისმის:

— ბატია, ბატი!

— მამლაყინწაა!

—ინდაურია! ნამდვილი ინდაური!..

ხანდახან კაბინეტიდან ცხოველების სახელებიც ისმის: ძროხა, თხა, კამეჩი... მაგრამ მიხოს ეს არ აინტერესებს. ალბათ, დამხმარე მეურნეობაზეა საუბარი.

ზის მიხო და იცდის. დღეს გადაწყვეტილი აქვს გადაჭრილი პასუხი მიიღოს. თუნდაც წაეჩხუბოს დირექტორს. მობეზრდა სულ თხოვნა და თხოვნა. ოჯახში ცდება. კოლმეურნეობაში ცდება. სანამდე ასე! დამიყვირებს? — ... ...

ტალღა და რეზოლუცია

ბობოქრობდა ზღვა შმაგი და მრისხანე, ეხეთქებოდა ტალღა ტალღას, აწყდებოდა ჯებირს და გაბზარა იგი.

ნახა ბზარი იგი რიგითმა მუშამ და მოახსენა ინჟინერს: გაბზარულა ჯებირი და შევაკეთოთო. ჯერ უფროსს მოვახსენოთო, თქვა ინჟინერმა და უპატაკა სამშენებლო სამმართველოს უფროსს: აბობოქრებულ ზღვას ჯებირი გაუბზარავს და უნდა შეკეთდესო.

შეკეთდესო, თქვა სამმართველოს უფროსმა, მაგრამ უფროსი რისი უფროსია, ყოველგვარი საქმის კურსში თუ არ ჩააყენე, ვაცნობოთო ზევით.

გააშანშალა უფროსმა მოხსენება: აბობოქრდა ზღვა, მიეხალა ტალღა ტალღას, გაბზარა ჯებირი და უნდა შეკეთდესო.

მიიღეს სამინისტროში მოხსენება და მოახსენეს უფროსს: ზღვის სანაპირო ქალაქი №-ის იმა და იმ უბანში, იმა და იმ ადგილას გაშმაგებულ ზღვას ჯებირი გაუბზარავს, შეკეთებას ითხოვენ და რა პასუხი გავცეთო.

ჩემი პასუხი, რა თქმა უნდა, ის არის, თქვა მინისტრმა, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეკეთდეს. აფრინეთ ორი-სამი კაცი, შეადგინონ ხარჯთაღრიცხვა, წარმოადგინონ და თანხას და მასალებს დაუყოვნებლივ დავუშვებო.

გაუშვეს სამი კაცი, შედგა ხარჯთაღრიცხვა, წარედგინა უფროსს.

არ დააყოვნა უფროსმა, დაუშვა თანხა და მასალები, შავი ტუშით დაადო რეზოლუცია იარა რეზოლუციამ ინსტანციიდან ინსტანციამდე, იარა, იარა დაწესებული წესისა და რიგის მიხედვით და, ვიდრე თანხამ და მასალებმა დანიშნულ ადგილას ჩააღწიეს, ბობოქრობდა ზღვა შმაგი და მრისხანე, ეხეთქებოდა ტალღა ტალღას, აწყდებოდა ჯებირს და ეგერ ე, იმ სიგრძეზე მოშალა იგი.

ნახა მოშლილი ჯებირი იგი რიგითმა მუშამ და, როგორც რიგი და წესია, მოახსენა ინჟინერს: ჯებირი მოშალა ზღვამ და, მთლად რომ არ წაგვლეკოს, ახალი უნდა გაკეთდესო.

უნდა გაკეთდესო, თქვა ინჟინერმა და უპატაკა სამმართველოს უფროსს. სამმართველოს უფროსმა მოხსენება წარუდგინა ზევით, იქიდან აფრინეს სამი კაცი, სამმა კაცმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინა უფროსს. უფროსმა შავი ტუშით დაადო რეზოლუცია და, ვიდრე ეს შავტუშა რეზოლუცია ივლიდა და ივლიდა ინსტანციიდან ინსტანციამდე, დაწესებული წესის მიხედვით, ბობოქრობდა ზღვა შმაგი და მრისხანე, ეხეთქებოდა ტალღა ტალღას, გადადიოდა ნაჯებირალზე, აწყდებოდა აქა-იქ შემორჩენილ ჯებირს და შლიდა და შლიდა...

დაინახა ეს რიგითმა მუშამ და მოახსენა ინჟინერს. ინჟინერმა — სამმართველოს უფროსს, უფროსმა — ზევით, იქ შავი ტუშით დაადეს რეზოლუცია...

და ბობოქრობდა ზღვა შმაგი და მრისხანე...

მ. ქარჩავა

ბითი სემინარი, რომლის მონაწილეები თავისუფალ დროს ინტერესით ათვალიერებდნენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

კროკოდილის მთავარმა რედაქტორმა მ. სემიონოვმა თავისი საყვარელი სპორტისათვის — თევზაობისათვისაც გამონახა დრო.

მეგობრული შარჟი

ნახ. გ. ფირცხალავასი

Клюет?! Не клюет?!

ნამდვილი ზღაპარი

ერთ დიდ დაწესებულებას მეტად მრისხანე დირექტორი განაგებდა. მოადგილიდან დაწყებული დამლაგებლამდე ყველას ეშინოდა მისი. რა მოვუხერხოთ, რა გზას დავადგეთ?—ფიქრობდნენ თანამშრომლები.

დაიწყო სჯა-ბაასი:

— ხვალ ხომ კრებაა?..

— კი!..

— გამოვიდეთ კრებაზე და ვთქვათ, რა ნაკლიც აქვს!..

— კრიტიკის ქარ-ცეცხლში გავატაროთ!..

— ვაგრძნობინოთ, რა ძალა ვართ, რას წარმოვადგენთ!..

— სწორია!..

— მართალია!..

— მაშ, გადაწყდა, ხვალ კრებაზე ჩვენი უფროსი უნდა გავაკრიტიკოთ!..

ამ დროს ერთმა შენიშნა:

— კი მაგრამ, კინ გამოვა კრებაზე სიტყვით, ვინ გააკრიტიკებს დირექტორს?..

ყველანი გაჩუმდნენ.

ზოგმა თავი გააქნია და ჩუმად გავიდა ოთახიდან, ზოგნიც მხრების აჩეჩვით წავიდ-წამოვიდნენ.

დარჩა მარტო მოადგილე. მოადგილე ჩაფიქრდა, მანაც თავი გააქნია, მხრები აიჩეჩა, საათს დახედა, პორტფელს ხელი დაავლო [illegible] კაცის იერით ფეხაკრეფით გავიდა [illegible]

ბ. ბაბმარაშვილი

№ 645
მემოვიდა 12/XI 63

სიყვარულის ძალა

ერთ სოფელში ალალბედად
გოგო ვნახე თვალციმციმა;
გადავხედე, გადმომხედა,
გავუცინე, გამიცინა;
გავუარე, გამიარა,
გამეცნო და გავეცანი;
სული ჰქონდა რა კრიალა,
გული როგორც — ნაკვერცხალი.
მასზე ფიქრიც არ მომესწრო,
მთელ სოფელში ხმა გავარდა:
— საწყალ გოგოს ატყუებსო,
სდომიაო საყვარლადა.
დღე დავნიშნეთ ქორწილისა,
გავაჩაღეთ სამზადისი;
ცრუ ხმამ გული მოგვინისლა,
მიგვინელდა მთლად ხალისი;
იქ ისა თქვეს, აქ ესო, —
რის ქორწილი, რა ქორწილი!
ლოქოს უგებს ფაცერსაო,
ამ საქმეში გამოცდილი!
ვიქორწინეთ, როგორც წესი,
თანა გვსდევდა თვალი ავი, —
სულ ერთ თვეში გაადგებსო,
დაიღუპა საცოდავი...
ჰეი, იქნებ ენა იღრძოთ,
შემეწიოს ღმერთი, რჯული;
ქვეყნად ყველა ლამაზს მიჯობს,
მე რომ შინ მყავს „დაგვაჯული“.
მას აქვს ჩემი გულის სალტე,
ჩემი სულის გასაღები,
და ერთს ვწუხარ: მე არ წავხდე,
თვით არ გავხდე გასაგდები.

ნ. შამანაძე

რედაქტორი ნ. შველიძე.

საredაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჰელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 31/X-1963 წ. ქაღ. ზომა 70×108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინი ქ. № 14. შეკვ. № 2360. უე 12196. ტირაჟი 40.000

ИНДЕКС 76137

63-645

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა ადენაუერის ნაცვლად ლუდვიგ ერჰარდი აირჩია დასავლეთ გერმანიის ახალ კანცლერად.

ერჰარდის მიერ გამოცხადებული პოლიტიკური კურსი, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე გავს ადენაუერის პოლიტიკას.

„იგი წავა და სხვა მოვა...“

ნახ. გ. ლომაძისა